განკარგულება:**g-81.81221876**
თარიღი:**06/07/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №32

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ასინიზაციის ავტომანქანა DAF -ის (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი EDE 012, საბალანსო ღირებულება 9500 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) შ.პ.ს. ,,მანქანა -ტრაქტორთა პარკის"-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლების გადაცემის, საწყისი სარივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ასინიზაციის ავტომანქანა DAF-ის (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი EDE 012, საბალანსო ღირებულება 9500 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) მუნიციპალიტეტის მიერ 100% წილით დაფუძნებული საწარმოსთვის შ.პ.ს ,,მანქანა-ტრაქტორტთა" პარკისთვის გადაცემაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599560756
ელ. ფოსტა: TSAGERISAKREBULO@GMAIL.COM